პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული ორი გამოცდა - დარგობრივი მიმართულებით და „ინგლისური ენა - დონე B2“. ინგლისური ენის B2 დონის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში მსურველები თავისუფლდებიან აღნიშნული გამოცდიდან. დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს ინგლისური ენის ცოდნის არანაკლებ B2 დონის სერტიფიკატი Pearson versant, Pearson Peic ან II სერტიფიცირების დონის (ტესტირების ევროპული სისტემის ALTE-ს B2) ან საერთაშორისო სერტიფიკატი TOEFL (The Test of English as a Foreign Language). აპლიკანტებს, რომლებსაც საშუალო ან უმაღლესი განათლება მიღებული აქვთ ინგლისურ ენაზე, ან ჩაბარებული აქვთ ბაკალავრიატის საფეხურზე „ინგლისური ენა - დონე B2“ - გამოცდის ჩაბარება ან სერტიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვებათ. შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე http://gtu.ge/Study-Dep/ გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

პროგრამის მიზანია:

- მოამზადოს ტურიზმისა და სასტუმროს სფეროს ღრმა, სისტემური ცოდნით და პროფესიული უნარებით აღჭურვილი, შრომის ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი, კრეატიული იდეების განვითარებასა და ეფექტიან გადაწყვეტილებაზე ორიენტირებული სპეციალისტი
- ჩამოუყალიბოს კურსდამთავრებულს ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე ტურიზმის სტრატეგიული დაგეგმვის, მართვისა და მდგრადი განვითარების პოლიტიკის საკითხებზე მუშაობის, ტურიზმის ორგანიზაციებსა და სასტუმროს ობიექტებზე ინოვაციური საქმიანობისა და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარები
- შეუქმნას კურსდამთავრებულებს შემდგომ საფეხურზე სწავლის/კვლევის გაგრძელებისა და პროფესიული განვითარების დამოუკიდებლად წარმართვის მყარი საფუძველი

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

ახდენს ღრმა და სისტემური ცოდნის დემონსტრირებას ტურიზმისა და სასტუმრო ბიზნესში მართვის პროცესების, საკანონმდებლო რეგულირებისა და ეკონომიკური უსაფრთხოების შესახებ;

განიხილავს საერთაშორისო და ადგილობრივი ტურიზმისა და სასტუმრო ბიზნესის განვითარების პოლიტიკას, დინამიკას, ტენდეციებსა და მათ გავლენას ინოვაციური პროდუქტისა და ახალი იდეების განხორციელებისათვის;

შეიმუშავებს ტურიზმის/სასტუმრო ბიზნესის მართვის პრიორიტეტებს, ამასთანავე, აანალიზებს მათი განვითარების შესაძლებლობებს, საფრთხეებსა და კრიზისულ სიტუაციებს;

გეგმავს და ქმნის თანამედროვე, კრეატიულ ტურისტულ პროდუქტს ტურისტული ბაზრის მოთხოვნების მეცნიერული კვლევის საფუძველზე დარგის მდგრადი განვითარებისათვის;

იყენებს ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროში არსებულ უახლეს ცოდნას დარგის გამოწვევების იდენტიფიცირებისა და სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში. ამასთანავე, საქმიანობის განხორციელებასა და კონტროლის პროცესში ითვალისწინებს ეთიკურ, სოციალურ და კორპორაციული პასუხისმგებლობების პრონციპებს;

იკვლევს და კრიტიკულად აფასებს ტურისტული პროდუქტების - სასტუმრო მომსახურების საქმიანობისა და მართვის პროცესებს, ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, დარგის მართვასთან დაკავშირებული სფეროების - ეკონომიკა, მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები ინტეგრირების მეშვეობით;

ეფექტიანად მუშაობს და წარმატებით იყენებს მენეჯერულ და ლიდერობის უნარებს ტურიზმსა და

სასტუმრო ინდუსტრიის მულტიდისციპლინარულ გარემოში;

დამოუკიდებლად ახორციელებს კვლევას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, საკუთარ დასკვნებს, არგუმენტებს და კვლევის შედეგებს წარადგენს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან, როგორც ქართულ, ასევე, ინგლისურ ენაზე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;

მონაწილეობს როგორც საკუთარი ასევე, გუნდის წევრების პიროვნული და მოქალაქეობრივი ღირებულებების პატივისცემის გარემოს შექმნასა და დამკვიდრების პროცესში, პროფესიული პრიორიტეტების, ეთიკური პრინციპებისა და მორალის მიღებული ნორმების დაცვით.

პასუხისმგებლობით **ახორციელებს** საკუთარი სწავლის შედეგების შეფასებას, რის საფუძველზეც გეგმავს სწავლის შემდგომ პროფესიულ განვითარებას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.
დადებითი შეფასებებია:

- **(A)** - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- **(B)** - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- **(C)** - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- **(D)** - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- **(E)** - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) – ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დეტალური ინფორმაცია მოცემულია სტუ-ის ვებგვერდზე:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულება
https://gtu.ge/Learning/debuleba_magistraturis_sesaxeb.php

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია
https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Forms.php

სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით

№	სავალდებულო სასწავლო კურსები	კრედიტი
1.	მენეჯერული ეკონომიკა	5
2.	ტურიზმის და სასტუმრო ბიზნესი	5
3.	ტურიზმისა და სასტუმროს თანამედროვე ტექნოლოგიები	5
4.	მარკეტინგის მენეჯმენტი	5
5.	ინოვაციური მენეჯმენტი	5
6.	ტურიზმის ეკონომიკური უსაფრთხოება	5
7.	კვლევის მეთოდები ტურიზმში	5
8.	ტურიზმის, მასპინძლობის და ღონისძიებების სტრატეგიული მენეჯმენტი	5
9.	მენეჯერული უნარები და ლიდერობა ტურიზმსა და სასტუმრო ინდუსტრიაში	5

10.	ტურისტული დესტინაციის მენეჯმენტი	4
11.	კორპორაციული ფინანსები	6
12.	ანალიზის სტატისტიკური მეთოდები ტურიზმში	5
13.	ტურიზმის და სასტუმრო ინდუსტრიის საკანონმდებლო რეგულირება	5
14.	ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები	5
15.	ტურისტული პროექტების მენეჯმენტი	5
16.	საწარმოო პრაქტიკა სასტუმროს ოპერაციულ მენეჯმენტში	5
	არჩევითი სასწავლო კურსები	
17.	ბრენდის მენეჯმენტი	5
18.	მომსახურების მენეჯმენტი	5
19.	რეკლამა და პრომოცია	5
20.	ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა	5
21.	მეწარმეობა და საწარმო	5
22.	რისკების მართვა და ანტიკრიზისული მენეჯმენტი	5
	სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა	30